პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
16 აპრილი
1940 წ.
№ 88 (5789)
ფასი 10 კაპ.

ბოლშევიკურად ვემზადოთ ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის

ოციოდე დღეც და ბოლშევიკური პრესის მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იზეიმებს თავის ტრადიციულ დღესასწაულს — 5 მაისს.

ამ შესანიშნავ თარიღს ყოველწლიურად აღნიშნავენ ჩვენს ქვეყანაში იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია უდიდეს მოვლენასთან ბოლშევიკების პარტიის ისტორიაში; ეს თარიღი დაკავშირებულია 1912 წლის 5 მაისთან, როდესაც გამოვიდა ლენინურ-სტალინური „პრავდის" პირველი ნომერი.

ეს თარიღი ჩვენში გადაიქცა ბოლშევიკური ჟურნალისტიკის, მთელი საბჭოთა პრესის საბრძოლო დათვალიერების დღედ. ყოველწლიურად აღვნიშნავთ რა ტრადიციულ დღესასწაულს, ჩვენ ვაჯამებთ განვლილ მუშაობას, მიუდგომლად ვააშკარავებთ არსებულ ნაკლოვანებებს და მკითხველთა ფართო მასებთან ერთად ვსახავთ ღონისძიებებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სწორედ ამ ნიშნით, უაღრესად საქმიან ვითარებაში უნდა ჩავატაროთ მთელი მოსამზადებელი მუშაობა და ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულიც. არც მოსამზადებელი მუშაობა და არც ზეიმი არ უნდა ატარებდეს საპარადო ხმაურისა და საიუბილეო - დეკლარატიულ ხასიათს. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის, როგორც პარტიის ყველაზე უფრო ბასრი იარაღის, კოლოსალური ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ორგანიულად არის დაკავშირებული მასებთან.

„პრესა, — ფვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ერთადერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს მისთვის, პარტიისათვის საჭირო ენაზე. სხვა საშუალებანი სულიერი ძაფების გაბმისა პარტიასა და კლასს შორის, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს".

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც გამოიზარდა და უმაგალითოდ განვითარდა ლენინური „ისკრისა", სტალინური „ბრძოლისა" და ლენინურ-სტალინური „პრავდის" სახელოვან ტრადიციებზე, უდიდეს ძალად გადაიქცა სწორედ იმიტომ, რომ იგი დღითიდღე განამტკიცებდა და ამტკიცებს კავშირს მკითხველთა მასებთან.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ყველაფერი გაკეთებულია.

ასე შეუძლიათ იფიქრონ თვითკმაყოფილების სენით დაავადებულ ადამიანებს. ასეთი თვითკმაყოფილება კი უცხოა ბოლშევიზმისათვის.

ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ბოლშევიკური გაზეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს ნამდვილი ორგანიზატორისა, პროპაგანდისტისა და აგიტატორის საპატიო სახელწოდებას, თუ ის განუყრელად იქნება დაკავშირებული მასებთან, თუ იგი შესძლებს საქმე ისე მოაწყოს, რომ ისწავლოს მასებისაგან და ამავე დროს ასწავლოს მასებსაც.

ასეთი მუშაობის ბრწყინვალე ნიმუშებს გვიჩვენებს ჩვენი სახელოვანი იდეური მედროშე — გაზეთი „პრავდა", ასეთი სტილით უნდა მუშაობდეს მთელი ჩვენი ბოლშევიკური პრესა. მაგრამ ასე როდი მუშაობს ყველა გაზეთი. ჩვენში მოიპოვებიან გაზეთები, რომლებიც ჩამორჩებიან ახლანდელი ვითარების გაზრდილ მოთხოვნებს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი გაზეთების მუშაობაში დავამკვიდროთ მუშაობის სტალინური სტილი, ოპერატიულობა და კონკრეტულობა, რომ თვითეული გაზეთი კეთდებოდეს მასების მონაწილეობით და მასებისათვის მიმზიდველ ენაზე.

უსათუოდ მისასალმებელია სამტრედიის რაიონული გაზეთის მუშაკთა, კედლის გაზეთების რედაქტორთა და მუშკორთა შეკრების მიმართვა, რომელსაც ვაქვეყნებთ დღევანდელ ნომერში.

სამტრედიელთა წინადადება, რომ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს საოლქო, რაიონულ, მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთებს შორის, მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს პრესის მუშაკებს შორის, რადგან ეს მიმართვა სწორად სახავს ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დგას პრესის წინაშე.

სოციალისტური შეჯიბრება უნდა გაიშალოს იმ მიმართულებით, რომ გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჩვენი გაზეთების მუშაობა, მრავალფეროვნად და ცოცხლად გავაშუქოთ საკითხები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

რედაქციების შეხვედრები მკითხველებთან უნდა ჩატარდეს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში. სარედაქციო თათბირებზე და მკითხველთა კონფერენციებზე გულდასმით განხილულ უნდა იქნას განვლილი მუშაობა. უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ იბრძოდა გაზეთი პარტიის XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და დიდი ბელადის ბრძნულ მოხსენებაში დასმული ამოცანების განხორციელებისათვის, როგორ რაზმავდა გაზეთი მასებს მესამე სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანებისათვის საბრძოლველად, როგორ აშუქებდა თავის ფურცლებზე საპროპაგანდო მუშაობის საკითხებს, რა ახალ საკითხებს აყენებდა მკითხველების წინაშე და ა. შ.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა განიხილონ საკითხი რედაქციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერებისა, დაეხმარონ პრესის მუშაკებს საგაზეთო ოსტატობის დაუფლებაში. ბოლშევიკ ჟურნალისტს საპატიო და პასუხსაგები მოვალეობა აკისრია. ამიტომ მას ბევრიც მოეთხოვება. პრესის მუშაკი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდეს იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაზე, იგი დღითიდღე უნდა აფართოვებდეს თავის კულტურულ-პოლიტიკურ ჰორიზონტს. ბოლშევიკ ჟურნალისტისაგან პარტია მოითხოვს მაღალ იდეურობას, მტკიცე პარტიულობას, პრინციპულობას, ახლის გრძნობას და უნარს მიმზიდველად და სრულყოფილად უჩვენოს თავის მასალებში ეს სიახლე.

სოციალისტური შეჯიბრება გაზეთებს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს რეალურ შედეგს, თუ ადგილებზე მას მოაწყობენ საქმიანად, თუ აიღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს და ბოლშევიკურად იბრძოლებენ მათი განხორციელებისათვის.

ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ბოლშევიკური პრესის მუშაკები საქართველოში, რომლებიც ამაყობენ სტალინური „ბრძოლის" სახელოვანი ტრადიციებით, ორგანიზებულად გაშლიან მოსამზადებელ მუშაობას და ბეჭდვითი სიტყვის დღეს შეხვდებიან ახალი სახელოვანი გამარჯვებებით.

ძირეული პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა შეკრება სამტრედიაში

ამ დღეებში სამტრედიაში ჩატარდა ძირეული პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა რაიონული შეკრება, რომელიც მოწვეული იყო საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის, გაზ. „კომუნისტის" რედაქციისა და რაიონულ გაზეთ „სოციალისტური შეტევის" რედაქციის ინიციატივით.

შეკრებამ მოისმინა ამხ. გ. სიხარულიძის მოხსენება ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის მზადებისა და ძირეული პრესის ამოცანების შესახებ.

მოხსენებას ირგვლივ გამართულ კამათში სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები — ნ. ნუცუბიძე (სოფლკორი დიდი ჯიხაიშიდან), უ. ჯინჭარაძე (სოფლკორი გომიდან), შ. კობრეიძე (სამტრედიის სავაგონო დეპოს კედლის გაზეთის რედაქტორი), ნ. აბზიანიძე (აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კედლის გაზეთის რედაქტორი), დ. შარაშენიძე (სახ. თეატრი), დ. ჩაჩუა (საშუალო სკოლა), ა. თევზაძე (საორთქლმავლო დეპოს კედლის გაზეთის რედაქტორი) და „კომუნისტის" რედაქციის წარმომადგენელი ამხ. არ. კოკილაშვილი.

მოკამათეებმა თავიანთ სიტყვებში დამსწრეთა ყურადღება გაამახვილეს კედლის გაზეთების მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე, ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით ერთმანეთს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაზე და ძირეული პრესის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს ხანში გამოსწორების აუცილებლობაზე.

შეკრების მუშაობაში, რომელსაც 200-ზე მეტი კაცი ესწრებოდა, მონაწილეობა მიიღეს საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივნებმა ამხ. პ. ხუბუამ და მ. ნიშნიანიძემ.

დასასრულ შეკრებამ მიიღო მიმართვა, რომელიც მოუწოდებს საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ძირეული პრესის მუშაკებს — ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება რაიონული და ძირეული პრესის მუშაობის ახლებურად გარდაქმნის საქმეში ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ფინეთის დესპანის ბ-ნ ი. კ. პაასიკივის მიერ რწმუნებითი სიგელების გადაცემა

15 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ფინეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ი. კ. პაასიკივი, რომელმაც მას გადასცა თავისი რწმუნებითი სიგელები. (საკდესი).

ღირსეულად შევხვდეთ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეს
ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება

სამტრედიის რაიონული გაზეთის მუშაკთა, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და მუშ-სოფლკორთა შეკრების მიმართვა

საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ძირეული პრესის მუშაკებისადმი

ამხანაგებო!

ახლოვდება ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე — 5 მაისი. საბჭოთა ხალხს განსაკუთრებულ ვითარებაში მოუხდება აღნიშნოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბეჭდვითი სიტყვის დღის ტრადიციული დღესასწაული. დიდათ გაიზარდა საბჭოთა პრესა, დიადი ამოცანები დგას მის წინაშე. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ისტორიულმა ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დაუსახა მთელ ჩვენს ქვეყანას, მთელს საბჭოთა ხალხს.

ჩვენი გაზეთები ბოლშევიკურად იბრძვიან პარტიული ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მიერ დასმულ ამოცანათა განხორციელებისათვის. მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, რომელშიაც მილიონობით საბჭოთა მოწინავე ადამიანები ჩაებნენ, ბოლშევიკურმა ბეჭდვითი სიტყვამ უდიდესი დამრაზმავი როლი შეასრულა. ეს მუშაობა ახლაც გრძელდება მთელი სერიოზულობით.

სამტრედიის რაიონულმა გაზეთმა თავისი მუშსოფლკორებით და ძირეულმა პრესამ თავისი კედლკორების თანამშრომლობით ცოტა მუშაობა როდი გასწია პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** ბრძნულ მითითებათა განხორციელებისათვის რაიონის მშრომელი მასების დასარაზმავად.

კერძოდ, ჩვენი რაიონის მუშსოფლკორებმა და პრესამ აქტიური მუშაობა ჩაატარეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების, გამოფენის მონაწილეთა გამოვლენების, მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადების, სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისა და მაღალი სტალინური მოსავლიანობისათვის ბრძოლის საქმეში. გასულ წელს ჩვენი რაიონიდან გამოფენის მონაწილე იყო 16 კოლმეურნეობა და 46 მოწინავე ადამიანი. წელს კი საგამოფენო კომიტეტის მიერ გამოფენის მონაწილედ უკვე დამტკიცებულია რაიონის 46-დან 42 კოლმეურნეობა და 64 მოწინავე.

XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნით ფართოდ ვაშუქებდით ადგილობრივი პარტორგანიზაციების ცხოვრებას, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, პროპაგანდისტული მუშაობის დადებით გამოცდილებას, კომუნისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საკითხებს და სხვ.

მაგრამ ჩატარებული მუშაობით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. ძალიან დიდი მუშაობა გვმართებს იმ გრანდიოზულ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც ბეჭდვითი სიტყვის წინაშე ამჟამად დგას.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ XVIII პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მოხსენებაში დასმული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა, და კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ამ საქმეში ჩვენი გაზეთების პროპაგანდისტული, სააგიტაციო და ორგანიზატორული მუშაობა, — ჩვენ წინადადებას ვიძლევით **ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღესთან — 5 მაისთან დაკავშირებით ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება** საქართველოს სსრ საოლქო, რაიონულ, მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთებს შორის.

ამ მიზნით ჩვენ ვკისრულობთ:

1). შეუნელებლად და ყოველდღიურად ვზარდოთ მასებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შეგნება, გავაღვივოთ მათში მისწრაფება და სიყვარული სწავლის შეძენისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნების ცოდნის დაუფლებისადმი; ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვუჩვენოთ საბჭოთა ადამიანების გმირობა, რომლებიც მუშაობენ სამშობლოს სადიდებლად და ხალხის საკეთილდღეოდ. ფართოდ გავაშუქოთ თავდაცვითი მუშაობის საკითხები, მშრომელთა შორის კიდევ უფრო „განვავითაროთ და ვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმი" (**სტალინი**).

2). საწარმოებსა და კოლმეურნეობებში გამოვავლინოთ ახალი რეზერვები, ვიბრძოლოთ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის, მრავალდაზგოსანთა გამოცდილების განზოგადებისათვის და კულტურულობის დამკვიდრებისათვის საწარმო-დაწესებულებათა მუშაობაში;

3). სანიმუშოდ მოვაწყოთ XVIII პარტყრილობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის გაშუქება. ყრილობის დადგენილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა საფუძველზე დავრაზმოთ ჩვენი რაიონის მშრომელები მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმების ვადაზე ადრე შესასრულებლად. ამასთან ერთად მტკიცედ დავიცვათ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ კოლმეურნეთა კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" და „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის და 8 ივლისის ისტორიული დადგენილებების ბოლომდე განხორციელებისათვის; გამოვამჟღავნოთ ცრუკოლმეურნეები, შრომის დეზორგანიზატორები და მათი ხელშემწყობნი, მივაღწიოთ კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური მხრივ კიდევ უფრო განმტკიცებას;

4). ჩავატაროთ ფართო ახსნა-განმარტება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილების — „ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში" პოპულარიზაციისათვის, რომელსაც უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის;

5). სანიმუშოდ მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ჩვენება. ამ მიზნით, როგორც რაიონულ გაზეთში, ისე კედლის გაზეთებში შემოვიღებთ განყოფილებას „გამოფენის მონაწილეთა ტრიბუნა".

6). ფართოდ ვუჩვენოთ მოწინავე პარტორგანიზაციების დადებითი გამოცდილება, კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში, საკოლმეურნეო შრომაში და სხვ. ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე გავშალოთ ბრძოლა არსებულ ნაკლოვანებათა მხილებისა და გამოსწორებისათვის. სერიოზულ მუშაობას ჩავატარებთ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ცოდნით პარტიული და არაპარტიული კადრების შესაიარაღებლად.

7). ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით ფართოდ გავაშუქოთ ბოლშევიკური პრესის ისტორიის საკითხები. კერძოდ, გაზეთის ფურცლებზე მივცემთ სტატიებს ლენინური „ისკრის" შესახებ, სტალინის ინიციატივით დაარსებული პირველი ბოლშევიკური ქართული გაზეთის „ბრძოლის" შესახებ, „პრავდის" შესახებ და სხვ. ამავე თემებზე მუშსოფლკორებისათვის ადგილებზე მოვაწყობთ ლექციებსა და კონსულტაციებს;

8). გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა და დახმარება ძირეული პრესისადმი, მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს დროში რაიონის ის კედლის გაზეთები, რომლებიც თვეში ერთხელ გამოდიან, გადავაქციოთ ორკვირეულ, ხოლო ორკვირეული 5-დღიურ კედლის გაზეთებად. ერთ კოლმეურნეობაში და ერთ საწარმოში მოვაწყობთ ყოველდღიურ კედლის გაზეთს.

ამასთან დაკავშირებით ვაწესებთ გაზ. „კომუნისტის" სახელობის გარდამავალ დროშას იმ კედლის გაზეთებისათვის, რომლებიც ახლებურად მოაწყობენ მუშაობას, გამოიჩენენ მეტ ოპერატიულობას, პოლიტიკურ სიმახვილეს და სარედაქციო მუშაობაში ფართოდ ჩააბამენ ყველა კედლკორებს და წარმოება-დაწესებულებათა მოწინავე ადამიანებს.

9). გადაჭრით გავაუმჯობესოთ სოფლკორთა და კედლკორთა შორის მუშაობა, გავაძლიეროთ მათი კორესპონდენციებისა და შენიშვნების უფრო მეტი რაოდენობით ბეჭდვა რაიონულ გაზეთში. პერიოდულად მოვაწყობთ მუშსოფლკორთა რეიდებს მათი წერილების მოქმედიანობის შესამოწმებლად. ამასთანავე სანიმუშოდ დავაყენებთ დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ ძირეული პრესის მუშაკთა სწავლებას, მათგან გამოვზრდით მცოდნე და გამოცდილ მუშაკებს არა მარტო ძირეული პრესის, არამედ რაიონული გაზეთისათვისაც.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს სსრ ყველა საოლქო, რაიონული, მრავალტირაჟიანი და ძირეული პრესის მუშაკებს ჩაებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი მიღწევებით აღვნიშნოთ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე, ჩვენი გაზეთები გადავაქციოთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის კიდევ უფრო ბასრ და მძლავრ იარაღად ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მიერ მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასმულ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

მიმართვას ხელს აწერს შეკრების ყველა მონაწილე, 197 კაცი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 70 წლისთავის წინ

მოსკოვი, 14 აპრილი (საკდესი). ქარხანა „კრასნი ბოგატირში", საამქროებსა და მოსახლეობაში 50 კვალიფიციური აგიტატორი მოაწყობს საუბარს ვლადიმერ ილიას-ძის შესახებ, მშრომელთა ბელადების — ლენინისა და სტალინის დიადი თანამეგობრობის შესახებ. დიდ საამქროებში გაიხსნება გამოფენა ლიტერატურისა და ფოტოდოკუმენტებისა, რომლებიც გვიხატავენ ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. უახლოეს დღეებში ქარხნის საუკეთესო წამკითხველნი წაიკითხავენ ლენინის შესახებ მხატვრულ ნაწარმოებთა ნაწყვეტებს. საქარხნო რადიომაუწყებლობის რედაქცია სპეციალურ რადიოგადაცემებს მოაწყობს. 21 აპრილს გაიმართება ქარხნის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საღამო, რომელიც მიეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 70 წლისთავს.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოში

სტალინის სახელობის სტიპენდიების განაწილება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შორის

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 25 მარტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაანაწილა სტალინის სახელობის 75 სტიპენდია, რაც დაწესებულია რესპუბლიკისათვის.

45 სტიპენდია გამოეყო საქართველოს სს რესპუბლიკის განსახკომის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებს, 12 სტიპენდია — საქართველოს სსრ მიწსახკომის უმაღლეს სასწავლებლებს, 12 სტიპენდია — საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანსახკომის უმაღლეს სასწავლებლებს, 5 სტიპენდია — ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უმაღლეს სასწავლებლებს და ერთი სტიპენდია — ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურ კომიტეტს — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისათვის.

ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის სტალინის სახელობის სტიპენდიები ნაწილდება შემდეგნაირად: 30 სტიპენდია ეძლევა საქართველოს სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 6 სტიპენდია ქუთაისის, 4 — სოხუმის, 2 — გორის და 1 სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტებს და თითო სტიპენდია—ბათუმისა და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტებს. სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებიდან 10 სტიპენდია მიეცა საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და 2 სტიპენდია — საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტს. სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელთა შორის 10 სტიპენდია მიეცა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს და თითო სტიპენდია — თბილისის სტომატოლოგიურ და ფარმაცევტიულ ინსტიტუტებს. თბილისის კონსერვატორიას და თბილისის სამხატვრო აკადემიას გამოეყო ორ-ორი სტიპენდია და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტს — ერთი სტიპენდია.

ყველაზე წარჩინებულ ფრიადოსან სტუდენტთა სიები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არაუგვიანეს 20 აპრილისა. (საქდესი).

საზეიმო-სამგლოვიარო კრება სსრ კავშირის დიდ თეატრში
ვ. ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად

ვ. ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის პატივსაცემად შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები. სსრ კავშირის დიდი თეატრის დარბაზი გაჭედილია. აქ არიან: საბჭოთა მწერლები, მსახიობები, მეცნიერნი, მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები, წითელი არმიის მებრძოლნი, მეთაურები და პოლიტმუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. დამსწრეთა შორის არიან: საბჭოთა კავშირის გმირები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, ორდენოსნები, ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები.

სცენაზე, ყვავილებით მორთულ ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკის ვეებერთელა პორტრეტთან დგას საპატიო ყარაული. პორტრეტის ზემოთ დაწერილია სიტყვები, რომლებსაც კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელი: „მაიაკოვსკი იყო და არის ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი" (სტალინი).

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან: საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. შჩერბაკოვი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვიშინსკი, აკადემიკოსი იაროსლავსკი, მწერლები — ამხ. ფადეევი, ასეევი, ვიშნევსკი, კირსანოვი, მოძმე რესპუბლიკათა მწერლების წარმომადგენლები—ამხ. ბაჟანი (უკრაინა), აბაშიძე (საქართველო) და სხვ.

თავმჯდომარე, პოეტი ნ. ასეევი საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და ვ. ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად გამოყოფილი კომიტეტის სახელით მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საბჭოთა მწერლების კავშირის საზეიმო-სამგლოვიარო კრებას, ქ. მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, გახსნილად აცხადებს. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა მწერალ ა. ფადეევს.

ამხ. ფადეევი ლაპარაკობს დიდი საბჭოთა პოეტის შემოქმედებითი გზის შესახებ, საბჭოთა ლიტერატურაში მისი ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ.

— ბევრი რამ იქიდან, — ამბობს ამხ. ფადეევი, — რაც 10 წლის წინათ დაიწერა, უკვე მოძველდა, მაგრამ მაიაკოვსკის ლექსების მგზნებარე ძალა არ შენელებულა. მაიაკოვსკის პოეზია სულ უფრო ფართოდ და უფრო ღრმად შედის მასების შეგნებაში.

რა არის მაიაკოვსკის პოპულარობის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ მის შემოქმედებაში განუყრელ ძალად შეერთდა პოეზია და კომუნიზმი. სოციალიზმი — აი რამ აქცია მაიაკოვსკის პოეზია ახალ, ნოვატორულ პოეზიად.

არცერთ სხვა პოეტსა და მწერალს ისე არა ჰქონდა შეთვისებული ახალის ძვირფასი გრძნობა, როგორც მას. როცა ამჟამად მაიაკოვსკის ნაწერებს ხელახლა კითხულობ, თითქოს კვლავ გადიხარ ჩვენი რევოლუციის ყველა ეტაპს.

თავისი ლექსებით მაიაკოვსკი ანადგურებდა მუშათა კლასის ყველა და ყოველგვარ მტერს, ჩვენი ხალხის მტრებს. და ძველი სამყაროს მთელ უწმინდურებას —თეთრგვარდიელი ნაძირალებიდან ტროცკისტ-ბუხარინელ არამზადებამდე — საშინლად სძულდა ჩვენი ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი. მტრები სდევნიდნენ მაიაკოვსკის, უგულებელჰყოფდნენ მას, ცდილობდნენ გაემარტოვებინათ იგი ლიტერატურულ წრეში. მათ ვერ ეპატიებინათ მაიაკოვსკისათვის მისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი. ეს ერთგულება კი ჭეშმარიტად უსაზღვრო იყო. მაიაკოვსკის არაერთხელ უთქვამს: თუმცა პარტიის წევრი არა ვარ, მაგრამ პარტიის დადგენილებანი ჩემთვის სავალდებულოდ მიმაჩნია. ლენინ-სტალინის პარტია მაიაკოვსკის ცნობიერებისათვის მუშათა კლასის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, მისი ძალისა და დიდების განსახიერება იყო. თავისი საუკეთესო, ყველაზე მკაფიო, ყველაზე შთაგონებული სტრიქონები მან ბოლშევიკური პარტიის შემქმნელსა და ბელადს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს მიუძღვნა.

— მაიაკოვსკისათვის ერთერთი ყველაზე ძვირფასი თემა იყო საბჭოთა პატრიოტიზმის თემა. სიტყვები—„იკითხეთ, შურით აღივსენით, მე საბჭოთა კავშირის მოქალაქე ვარ" — წითელ ძაფად არის გავლებული მთელ მის შემოქმედებაში.—მთელი თავისი ცხოვრება, — ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. ფადეევი, — ვლადიმერ მაიაკოვსკიმ კომუნიზმისათვის ბრძოლას შესწირა. თავისი მუშაობით, თავისი დაუცხრომელი შემოქმედებით, რაც მთლიანად და განუყოფლად მიძღვნილია მუშათა კლასის საქმისადმი, მან დაიმსახურა ის მაღალი შეფასება, რომელიც მას მისცა ამხანაგმა სტალინმა, დაახასიათა რა მაიაკოვსკი, როგორც საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი.

თითქოს მომხსენებლის იმ თეზისის დასამტკიცებლად, რომ მაიაკოვსკის შემოქმედებას განსაკუთრებული გავლენა აქვს მთელი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე, მოძმე რესპუბლიკათა პოეზიის წარმომადგენლებმა წაიკითხეს მაიაკოვსკის საუკეთესო ლექსები, გადათარგმნილი სსრ კავშირის ხალხთა ენებზე—უკრაინულ, სომხურ, ქართულ და სხვა ენებზე.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ წინადადებას — გაეგზავნოს მისალმება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხანაგ **სტალინს** და საბჭოთა მთავრობას—ამხანაგ **მოლოტოვს.** მისალმების ტექსტი, რომელიც მწერალმა ვ. ვიშნევსკიმ წაიკითხა, მრავალჯერ იქნა შეწყვეტილი ხანგრძლივი ტაშით. კრების მონაწილეებმა აღტაცებული ოვაცია გამართეს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, დიდი **სტალინის** და ამხანაგ **მოლოტოვის** პატივსაცემად.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

ვ. ვ. მაიაკოვსკის ძეგლის საძირკვლის ჩაყრა

მაიაკოვსკის მოედანი! აქ სიცოცხლე მუდამ დაძაბული და მხნეა, როგორც ყოველი ნაწარმოები პოეტისა, რომლის სახელსაც ეს მოედანი ატარებს. აღმართულა ფოლადითა და მარმარილოთი შემოსილი, მოზაიკის მზიური ელვარებით გაბრწყინვებული სადგურის ვესტიბიული.

14 აპრილს დილით დედაქალაქის ყოველი კუთხიდან გაეშურნენ მოედნისაკენ მუშათა, მწერალთა, მოსწავლეთა, სამხედრო აკადემიების მსმენელთა კოლონები. ისინი აქეთ მოემართებოდნენ პოეტისადმი სიყვარულით, მისი ნათელი ხსოვნისადმი პატივისცემით გამსჭვალულნი.

მოედანზე გამართული ტრიბუნის წინ არის სწორკუთხა გრანიტის ქვა, რომელსაც ჰფარავს წითელი ლენტით შეკრული შავი ხავერდი. მის გარშემო მოთავსდნენ დედაქალაქის მშრომელთა კოლონები.

დღის 2 საათია. ტრიბუნაზე ადიან: საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მ. ბ. ხრაპჩენკო, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პ. პრონინი, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ა. გრაკინი, საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ა. ა. ფადეევი, პოეტის ნათესავები და მეგობრები.

დიდი საბჭოთა პოეტის ვ. ვ. მაიაკოვსკის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგს ხსნის ამხ. პრონინი.

— მაიაკოვსკის ყველა ნაწარმოები, — ამბობს ამხ. პრონინი,—გამსჭვალულია ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებით, ხალხის მასებისადმი სიყვარულით, მთელი მისი შემოქმედება გაჟღენთილია ულრმესი სიძულვილით ხალხის მტრებისადმი, კაპიტალიზმის ნაშთების მატარებლებისადმი. სწორედ ამიტომ უყვარს მაიაკოვსკი საბჭოთა ხალხს!

ტრიბუნაზეა ამხ. ფადეევი. იგი ამბობს, რომ მაიაკოვსკის გარდაცვალების დღიდან გასული 10 წლის მანძილზე პოეტის ნაწარმოებნი სულ უფრო ფართოდ და უფრო ღრმად იჭრებიან მშრომელი მასების ცნობიერებაში. პოეტის შემოქმედებამ ძლიერი გავლენა მოახდინა ყველა საბჭოთა მწერალზე, დასავლეთის რევოლუციური მწერლების შემოქმედებაზე. მაიაკოვსკის ასეთი დიდი და უფრო-და-უფრო მზარდი ძლიერების მიზეზია მისი უკვდავი პოეზია, რომელიც პოეტმა მთლიანად გამოიყენა კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხრაპჩენკო.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხ. პრონინის მიერ წაკითხულ დადგენილებას მოსკოვში, მაიაკოვსკის მოედანზე, ვ. ვ. მაიაკოვსკის ძეგლის აგების შესახებ.

მთავრობის წევრები, დედაქალაქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოეტის ნათესავები და მეგობრები ტრიბუნიდან ჩამოდიან. მოედანს საზეიმოდ ეფინება „ინტერნაციონალის" მძლავრი ხმა. მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პრონინი წითელ ლენტს სჭრის. გრანიტის ქვას ხავერდი ჩამოეხსნება.

გრანიტის ქვის კრიალა ზედაპირზე არის წარწერა: „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით აქ აგებულ იქნება ვ. ვ. მაიაკოვსკის ძეგლი. საძირკველი ჩაეყარა 1940 წლის 14 აპრილს". (საკდესი).

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

„გერმანიის საესკადრო ნაღმოსნები, რომელთა საფარველ ქვეშ სწარმოებდა დესანტების გადასხმა ნარვიკში, ამ უკანასკნელ დღეებში, გერმანიის წყალქვეშა ნავებისა და თვითმფრინავების დახმარებით, იგერიებდნენ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებს, რომლებმაც არაერთხელ სცადეს ნორვეგიაში შეჭრა. 13 აპრილს, შუადღისას, მტერმა კვლავ მიიტანა ძლიერი იერიში. ბრძოლაში მონაწილეობდა მტრის ესკადრა, რომელიც შესდგებოდა ორი სახაზო გემისა, ავიამზიდებისა, კრეისერებისა და მრავალი საესკადრო ნაღმოსნისაგან. მოწინააღმდეგის ძალთა უპირატესობის მიუხედავად, ჩვენი საესკადრო ნაღმოსნები ბრძოლაში ჩაებნენ. ამ ბრძოლის დროს ცეცხლი მოეკიდა და მეჩეჩზე დაჯდა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „კოსაკი“. საესკადრო ნაღმოსანი „ესკიმო“ და სხვები ძლიერ დაზიანდნენ და, როგორც ეტყობა, დაიღუპნენ. მტრის საერთო დანაკლისის, აგრეთვე ჩვენი საკუთარი დანაკლისის გამორკვევა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. გერმანიის მძიმე სამხედრო გემები რამდენიმე დღის განმავლობაში პატრულობდნენ ნორვეგიის სანაპიროს. როცა ნორვეგიის ნავსადგურებში გერმანიის ჯარის გადასხმა სწარმოებდა, 9 აპრილს მათ მოიგერიეს ინგლისის მძიმე სამხედრო გემების იერიში, ამასთან ინგლისის სახაზო კრეისერი „რინოუნი“ დაზიანებულ იქნა. ჩვენი მძიმე სამხედრო გემები სრულიად არ დაზიანებულან. ტრონჰეიმში, ბერგენში, სტავანგერსა და ქრისტიანზანდში დღეს მშვიდად ჩაიარა. გერმანელები აქ თავიანთ თავდაცვითი ნაგებობების გაფართოებასა და გამაგრებას განაგრძობენ. ოსლოს რაიონში გერმანიის ჯარი კვლავ მიიწევს ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. სხვა პუნქტებს შორის გერმანელებმა დაიკავეს სარპსბორგი და ასკიმი. ჰეიდსტადტმენში იარაღი დაჰყარა ნორვეგიის არმიის 100 ოფიცერმა და 1500 ჯარისკაცმა. დანიის სანაპიროს უმნიშვნელოვანეს პუნქტებში დადგმულია მძიმე ბატარეები. შოტლანდიის კუნძულების ჩრდილოეთით გერმანიის წყალქვეშა ნავის მიერ ტორპედირებულია მტრის კრეისერი „გლაზგოუს“ ტიპისა.

სკაგერაკის სრუტეში მოსპობილია მტრის 3 წყალქვეშა ნავი. 13 აპრილს ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ნარვიკს, სტავანგერსა და ბერგენს; მან ყუმბარა დაუშინა ბერგენს. სამხედრო მნიშვნელობის ობიექტები ბომბარდირებისაგან არ დაზარალებულა. გერმანიის საჰაერო შენაერთებმა სხვადასხვა პუნქტებში იერიში მიიტანეს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებზე. როგორც უკვე ვიუწყებოდით, მტრის ორი წყალქვეშა ნავი ყუმბარების მოხვედრის შედეგად განადგურებულია.

დასავლეთის ფრონტზე, მოზელსა და პფალცის ტყეს შუა, ზოგან გაცხოველებით მოქმედებენ არტილერია და დამკვრელი რაზმები. გერმანიის ორი დამკვრელი რაზმი ღრმად შეიჭრა მტრის პოზიციების ტერიტორიაზე მერციგანის სამხრეთ-დასავლეთით. გერმანელებმა მოსპეს საყარაულო საგუშაგოები, დაანგრიეს 4 თავშესაფარი და ხელთ იგდეს ტყვეები. საფრანგეთის ტერიტორიაზე, საარლაუტერნის სამხრეთ-დასავლეთით გერმანიის დამკვრელმა რაზმმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მტერს და ხელთ იგდო ტყვეები. ცვაიბრიუკენის სამხრეთით მოგერიებულ იქნა მტრის მეწინავე საგუშაგოს გამოხდომა, რასაც ეხმარებოდა არტილერია; მტერი დიდად დაზარალდა. ზემო რაინზე, ისტაინის რაიონში, გერმანიის მზვერავმა რაზმმა რაინი გადალახა, მტრის საგუშაგოების განლაგების ხაზს იქით შეიჭრა და რაინის ერთერთი კუნძული დაიკავა“.

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს: „ინგლის-საფრანგეთის პრესის სხვადასხვა ცნობიდან სჩანს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს განზრახვა აქვთ აკრძალონ დანიისა და ნორვეგიის იმ ფასეულობათა და ქონების გატანა, რომლებიც ინგლისსა და საფრანგეთში ინახება. გერმანიის ინფორმირებულ წრეებში ამის თაობაზე აცხადებენ, რომ ასეთი ღონისძიება უნდა ჩაითვალოს, როგორც დასავლეთ სახელმწიფოთა შემდგომი მტრული აქტი ჩრდილოეთ ქვეყნების მიმართ. ეს იქნებოდა იმის ახალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ დასავლეთ სახელმწიფოებს სურთ აწარმოონ ომი უწინარეს ყოვლისა სხვა ხალხთა სახსრებით. ამგვარი მოქმედება, რაც სამართალს ეწინააღმდეგება, უეჭველად, დაანახვებს სხვა ხალხებს და უწინარეს ყოვლისა სამხრეთ-აღმოსავლეთ ხალხებს, თუ რას უნდა ელოდნენ ომის გაფართოების ინგლის-საფრანგეთის გეგმებისაგან“.

ტრონჰეიმის რაიონში

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ტრონჰეიმის რაიონში გერმანიის ჯარი წინ მიიწევს ისე, რომ წინააღმდეგობას არ ხვდება. სანაპირო სიმაგრეთა თავდაცვისათვის მზადება სავსებით დამთავრებულია.

საფრანგეთის ცნობები საომარი მოქმედების შესახებ

პარიზი, 14 აპრილი (საკდესი). ოფიციალურ ცნობაში, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა, აღნიშნულია „მოწინავე ჯარის ნაწილთა აქტივობის განახლება. მოზელის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის მიერ მიტანილი ადგილობრივი იერიში მარცხით დამთავრდა მისთვის. მოწინააღმდეგემ ვერ გაარღვია მავთულღობურა და უკან დაიხია. შემდეგ აღმოსავლეთისაკენ რამდენიმე შეტაკება მოუხდათ მზვერავ რაზმებს. საარსა და ვოგეზებს შუა მდებარე რაიონში წარმატებით გაილაშქრეს ფრანგების რაზმებმა“.

დღევანდელ დილის ცნობაში ნათქვამია, რომ „ვოგეზების დასავლეთით აღნიშნულია არტილერიის აქტივობა“.

ინგლისელებმა დანაღმეს გერმანიის სანაპირო

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს გამოქვეყნდა ინგლისის საზღვაო სამინისტროს განცხადება ბალტიის ზღვისა და მისი მისასვლელების დანაღმვის შესახებ. შვეციის ტერიტორიული წყლები არ დაინაღმება. დანაღმული სივრცე განისაზღვრება შემდეგი კოორდინატებით: ა) ჩრდილოეთის განედის 57 გრადუსი 00 წუთი და აღმოსავლეთი გრძედის 10 გრადუსი 26 წუთი, ბ) ჩრდილოეთი განედის 57 გრადუსი 00 წუთი და აღმოსავლეთი გრძედის 12 გრადუსი 24 წუთი, გ) ჩრდილოეთი განედის 55 გრადუსი 30 წუთი და აღმოსავლეთი გრძედის 14 გრადუსი 20 წუთი, დ) ჩრდილოეთი განედის 55 გრადუსი 30 წუთი და აღმოსავლეთი გრძედის 21 გრადუსი 6,5 წუთი. ბალტიის ზღვისა და მისი მისასვლელების რაიონი, იმ ხაზების სამხრეთით მდებარე, რომლებიც „ა“ პუნქტს აერთიანებენ „ბ“ პუნქტთან და „გ“ პუნქტს „დ“ პუნქტთან, იქ ჩაწყობილი ნაღმების გამო ნაოსნობისათვის სახიფათოა.

ინგლისის საზღვაო სამინისტროს განცხადება,—აღნიშნავს სააგენტო,—იმას ნიშნავს, რომ ნაღმები ჩაწყობილია გერმანიის მთელი ბალტიის სანაპიროს გასწვრივ. ახალი დანაღმული სივრცე მოიცავს (შვეციის ტერიტორიული წყლების გამოკლებით) ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილს ჩრდილოეთის მიმართულებით იმ პუნქტამდე, რომელიც მდებარეობს მემელის სამხრეთით 12 მილის მანძილზე. ეს სივრცე უერთდება სკაგერაკისა და კატეგატის სრუტეების უკვე წინათ დანაღმულ არეს, გადის დიდ და პატარა ბელტზე და შემდეგ ბალტიის ზღვისაკენ.

ამრიგად, დანაღმული არე მოიცავს გერმანიის მთელ სანაპიროს და გერმანიის მიერ ოკუპირებულ დანიას.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). ლონდონს მიღებული ცნობების თანახმად, გუშინ ინგლისის ორმა თვითმფრინავმა, რომლებიც ნორვეგიაში დაფრინავდნენ, ბრძოლა აუტეხეს გერმანიის ავიაგამანადგურებლებს. გერმანიის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, მეორე დიდად დაზიანდა.

რეინოს მთავრობის მდგომარეობა

პარიზი, 14 აპრილი (საკდესი). ის გაზეთები, რომლებიც რეინოს მთავრობას უჭერენ მხარს, პალატის 11 აპრილის სხდომის წინ აცხადებდნენ, თუ მხედველობაში მივიღებთ ამბების ახლანდელ განვითარებას, საჭიროა ინტერპელაციის განხილვა გადაიდოს. სენატის სხდომის შემდეგ, რომელსაც არ განუხილავს რეინოს დეკლარაცია, ამ გაზეთებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ დეპუტატთა პალატაც აგრეთვე დაკმაყოფილდებოდა რეინოს დეკლარაციის მოსმენით და რომ ამის გამო პალატაში სრული ერთსულოვნება იქნებოდა. მაგრამ რეინოს დეკლარაციის შემდეგ ოპოზიციამ პალატაში მოითხოვა ზოგიერთი საკითხის დაუყოვნებლივი განხილვა. კერძოდ, „რესპუბლიკური ფედერაციის“ წარმომადგენლებმა (ლუი მარენმა, დომანიმ) მოითხოვეს დაუყოვნებლივ განეხილათ ზოგიერთი შინაპოლიტიკური საკითხი (სპეციალური შეღავათების შესახებ 30 წელზე მეტი ასაკის ყველა მობილიზებულთათვის მაინც). და ა. შ. „რესპუბლიკური ფედერაციის“ წარმომადგენლებმა აიძულეს პალატის თავმჯდომარე კენჭი ეყარა მათი წინადადებებისათვის. დაუყოვნებლივ კამათის სასარგებლოდ პირველი კენჭის ყრის დროს ხმა მისცა 237 კაცმა და წინააღმდეგ—293. მეორე შემთხვევაში დაუყოვნებლივ კამათს მხარი დაუჭირა 249 დეპუტატმა და წინააღმდეგ წავიდა 259. ეს შედეგები მოწმობს, რომ მთავრობას უმნიშვნელო უმეტესობა ჰყავს დეპუტატთა პალატაში.

ბელგიის თავდაცვითი ღონისძიებანი

ბრიუსელი, 14 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ვენტიემ სიეკლი“ აღნიშნავს, რომ ბელგიამ ჯარის ძლიერი ნაწილები გაჰგზავნა საფრანგეთის საზღვარზე. ამ ღონისძიებას უკავშირებენ ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის სპააკისა და გერმანიის ელჩის ამასწინანდელ შეხვედრას.

გაძლიერებულია საჰაერო პატრული. ბრიუსელის სამხედრო დაწესებულებებსა და ზოგიერთ სამინისტროს პიკეტები, ჟანდარმერია და ჯარი იცავს. არმიაში შვებულება შეწყვეტილია. გაწვევის ასაკის იმ ჯარისკაცებს, რომლებიც ავადმყოფობის გამო განთავისუფლებული იყვნენ მობილიზაციისაგან ბრძანება მიეცათ კვლავ გაიარონ საექიმო შემოწმება. გაცემულია ინსტრუქციები, თუ როგორ იმოქმედონ იმ შემთხვევაში, თუ მეომარი სახელმწიფოების პარაშუტისტები დაეშვებიან ბელგიის ტერიტორიაზე. მოსახლეობას მოუწოდებენ დაეხმაროს ხელისუფლებას საეჭვო პირების გამომჟღავნებაში.

„ტაიმსი“ ნორვეგიაში მოკავშირეთა დესანტის გადასხმის პირობების შესახებ

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ იმან, ვინც მოუთმენლად მოელოდა ცნობებს ნორვეგიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის შესახებ, ალბათ, ვერ გაითვალისწინა ამ ოპერაციის მთელი სირთულე. დესანტის გადასხმა წინააღმდეგობის გაწევის დროს ყოველთვის რთულ ოპერაციას წარმოადგენს, თუნდაც თავდამცველები მარტო ტყვიამფრქვევებით იყვნენ შეიარაღებულნი. მაგრამ როცა მოწინააღმდეგის ძალისა და განლაგების შესახებ აბსოლუტურად ზუსტი ცნობები არ მოიპოვება,—აღნიშნავს მიმომხილველი,—დესანტის გადასხმა სახიფათო თამაში იქნებოდა, რომელსაც შეიძლებოდა დაღუპვა გამოეწვია. იმ ადგილის განსაზღვრა, სადაც ადვილად შეიძლება ჯარის გადასხმა, ისე რომ ამას წინააღმდეგობა არ გაუწიონ, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრული და უაღრესად ზუსტი ინფორმაცია მოიპოვება. ნორვეგიაში ამჟამად არსებული მდგომარეობის დროს ზუსტი ინფორმაციის მიღება მეტად ძნელია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას,—ხაზგასმით აღნიშნავს მიმომხილველი,—ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო პირებს სავსებით აქვთ შეგნებული, რომ დროის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმატებისათვის.

საგაფიცვო მოძრაობის ზრდა ინდოეთში

ქაბული, 14 აპრილი (საკდესი). ინდოეთის გაზეთების ცნობით, 4 მარტს ბომბეიში დაიწყო 150.000 ფეიქრის საყოველთაო გაფიცვა, რომელიც დღემდე გრძელდება. გაფიცულ ფეიქრებს შეუერთდა ბომბეის 22 აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის 10.000 მუშა. ბევრ ქალაქში გაიმართა რკინიგზელთა მიტინგები. რკინიგზელები მხარს უჭერენ ფეიქართა გაფიცვას.

13 მარტს გაიფიცა გორახპურის 25 შაქრის ქარხნის 20.000 მუშა. კალკუტაში კომუნალური მეურნეობის 20.000 მუშამ წარმატებით ჩაატარა გაფიცვა და მიაღწია თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. გაფიცვები დაიწყო აგრეთვე ქალაქ პატნის შაქრისა და ქაღალდის მრეწველობის საწარმოებში, ფარაჩის ელექტროსადგურზე, ამრიტსარის ასანთის ფაბრიკებში და ალაჰაბადის სტამბებში. გაიფიცნენ აგრეთვე კაუნპურის კალატოზები. გაფიცულები უმთავრესად ხელფასის მომატებას მოითხოვენ. ბომბეის ფეიქართა პროფკავშირის კომიტეტის წევრმა განაცხადა, რომ „ახლანდელ საგაფიცვო მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ ისეთი მუშებიც, რომელნიც უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში არცერთხელ არ გაფიცულან“.

შვეციის მთავრობის ღონისძიებანი

სტოკჰოლმი, 14 აპრილი (საკდესი). მთელ სამხრეთ შვეციაში გამოცხადებული დაბნელება განგრძობილია 16 მაისამდე. დაბნელებული იქნება დასავლეთ შვეციის მთელი რიგი ახალი რაიონებიც.

მთავრობამ დანიშნა ფასების საკონტროლო სახელმწიფო კომისია. კომისიას მეტად ფართო რწმუნებანი აქვს. სტოკჰოლმში ავტობუსების მოძრაობა ხვალიდან 40 პროცენტით მცირდება. საავტობუსო მოძრაობა მკვეთრად მცირდება მთელს ნორვეგიაში.

შვეციის პრესა ნორვეგიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

სტოკჰოლმი, 14 აპრილი (საკდესი). როგორც შვეციის ყველა გაზეთი აღნიშნავს გუშინდელი ცნობების საფუძველზე, ნორვეგიაში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. გერმანიის ჯარმა შესძლო წინ წაწეულიყო შვეციის საზღვრისაკენ; ამასთან მან დაიკავა ქალაქი ჰალდენი, სარპსბორგი, ფრედრიკსტადი. ამჟამად გერმანიის ჯარი ცდილობს მოსწყვიტოს ნორვეგიის ქალაქი კონგსვინგერი შვეციის ქალაქ შარლოტენბერგს. ამ მიმართულებით გერმანიის ჯარი წარმატებით მიიწევს წინ.

ნორვეგიის საესკადრო ნაღმოსანმა ჩასძირა გერმანიის ტრანსპორტი

ნიუ-იორკი, 14 აპრილი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს სტოკჰოლმელი კორესპონდენტი იუწყება, ნორვეგიის მისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნორვეგიის საესკადრო ნაღმოსანმა „დრაუგმა“ ჰაუგეზუნდის რაიონში ჩასძირა გერმანიის ტრანსპორტი. „დრაუგი“ შეუერთდა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებს.

ინგლისის ცნობები ნორვეგიაში გაჩაღებული საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო სტოკჰოლმიდან იუწყება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი ნორვეგიის ნაპირებთან გაფართოებული ბრძოლაა. გუშინ შვებერგში, ჰალდენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 20 კილომეტრის მანძილზე, შვეციის საზღვრის მახლობლად, გერმანიის ჯარის ახალი ნაწილები გადასხდნენ. გაფართოებული ბრძოლა სწარმოებს ქალაქ სარპსბორგის ჩრდილოეთით ნაწილის ქუჩებში. გერმანიის ჯარის მიერ დაკავებულ ჰალდენსა და შვეციას შორის კავშირი შეწყვეტილია. ნორვეგიელებმა აფეთქეს ხიდი, რომელიც ფრედრიკსტადს ჰალდენთან აერთებს.

დანიისა და ნორვეგიის ოქროს ბედი

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). ლონდონის საფინანსო წრეებში ამტკიცებენ, რომ დანიისა და ნორვეგიის ოქროს მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ამ რამდენიმე კვირის წინ გაიგზავნა საზღვარგარეთ. ოქროს უმეტესი ნაწილი [illegible] გადაიგზავნა ლონდონს და ინახება ინგლისის ბანკის სარდაფებში. ჰფიქრობენ, რომ 36 მილიონი გირვანქა სტერლინგი ოქრო თვითმფრინავებით გადაიტანეს დანიიდან და ნორვეგიიდან ინგლისს. ნაწილი ოქრო გადაგზავნილია ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეციაც საზღვარგარეთ ჰგზავნის თავის ოქროს. მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიგზავნა 16 მილიონი გირვანქა სტერლინგზე მეტი შვეციის ოქრო.

დანიაში ნაოსნობა განახლდა

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ გემების რეისები დანიის ნავსადგურებიდან საზღვარგარეთის ნავსადგურებში ნაწილობრივ განახლებულია. ნებადართულია დანიის გემების საკაბოტაჟო ცურვა, ფოსტისა და მგზავრთა გადაზიდვა-გადაყვანა, გემის რეისები გერმანიის ნავსადგურებში.

ნებადართულია აგრეთვე გერმანიის გემების ცურვა. იმავდროულად დანიის გემებს, რომელნიც გზაში იმყოფებიან, წინადადება ეძლევათ შევიდნენ ნეიტრალურ ნავსადგურებში.

ინგლისის ჯარის გადასხმა ნორვეგიაში

ლონდონი, 15 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ლონდონში გამოქვეყნდა სამხედრო და საზღვაო სამინისტროთა ოფიციალური კომუნიკე იმის შესახებ, რომ ნორვეგიის მთელ რიგ პუნქტებში გადასხეს ინგლისის ჯარი.

გერმანიის ჯარმა დაიკავა ხალდენი

ბერლინი, 15 აპრილი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის ჯარმა, რომელიც ოსლოს რაიონში მოქმედებს, დაიკავა ხალდენი.

ინგლისის თვითმფრინავების თავდასხმა ბერგენზე

ლონდონი, 15 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ბერგენს. თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა საზღვაო ავიაციის 15 თვითმფრინავი. ბომბარდირების შედეგად ერთერთ ტრანსპორტზე ხანძარი გაჩნდა. მეორე გემი ჩაიძირა. ჩამოგდებულია მტრის ერთი მფრინავი ნავი. თავდასხმის მონაწილე ერთერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავის ბაზაში.

ლიტვური პრესა მაიაკოვსკის შესახებ

კაუნასი, 14 აპრილი (საკდესი). დღეს ყველა ლიტვური გაზეთი მთელ გვერდებს უძღვნის უნიჭიერეს საბჭოთა პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის. გაზეთები ათავსებენ პოეტის პორტრეტებს და ბიოგრაფიას. გაზეთი „ლაიკასი“ სწერს: „ვლადიმერ მაიაკოვსკი უკანასკნელი დროის ერთერთი უნიჭიერესი რუსი პოეტი იყო. იგი პოეტური ფორმის ნოვატორი და რევოლუციონერი იყო. მაიაკოვსკი თვით ცხოვრების ენით ლაპარაკობდა. ლიტვაში მაიაკოვსკი ცნობილია, როგორც დიდი პოეტი, როგორც სიტყვის დიდი ოსტატი“.

„ვლადიმერ მაიაკოვსკი,—სწერს „ლიეტუვოს ჟინიოსი“,—ასახიერებს რუსული პოეზიის მთელ ეპოქას. ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მაიაკოვსკიმ ამ რევოლუციას შესწირა მთელი თავისი მძლავრი შემოქმედებითი ტალანტი. რევოლუციამ მაიაკოვსკის შემოქმედების წინაშე უფართოესი პერსპექტივები გადაშალა. მაიაკოვსკის პოეზია მგზნებარებითა და ემოციით არის გამსჭვალული და სურათოვნობით განირჩევა. მაიაკოვსკიმ უდიდესი გავლენა მოახდინა საბჭოთა პოეზიაზე“.

იგივე გაზეთი მეორე სტატიაში სწერს: „მაიაკოვსკი თითქოს განაგრძობდა პუშკინის სახელოვან ტრადიციებს და თავისი ეპოქის მკაფიო გამომხატველი იყო. ვლადიმერ მაიაკოვსკი დიდი ნოვატორია, რომელმაც რევოლუციურ ცეცხლში გამოაწრთო თავისი პოეზიის სიტყვა და ფორმა. იგი სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ლიტერატურაში, როგორც ახალი რევოლუციური პოეზიის შემქმნელი“.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება

10-11 აპრილს კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელსაც 1.800 კაცი დაესწრო.

კრებამ განიხილა საკითხი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგების შესახებ. მომხსენებელმა—საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შჩერბაკოვმა—კრებას დაწვრილებით უამბო პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

— ამ გადაწყვეტილებებს მშრომელნი უპასუხებენ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე მუშაობის გაძლიერებით, ხოლო ჩვენი ამოცანა, ბოლშევიკების ამოცანა, — სთქვა ამხ. შჩერბაკოვმა, — ის არის, რომ სათავეში ჩავუდგეთ ბრძოლას ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელებისათვის.

ამხ. შჩერბაკოვის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. კამათში მონაწილეობას იღებდნენ საკ. კ. პ. (ბ) სოკოლნიკის რაიკომის მდივანი პალენიჩი, საკ. კ. პ. (ბ) როსტოკინის რაიკომის მდივანი ქილენკოვი, კოლმეურნეობა „ოგოროდნი გიგანტის“ თავმჯდომარე პეტუშკოვი, საკ. კ. პ. (ბ) ბრონიცკის რაიკომის მდივანი ბორზოვი, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი მაქსიმოვი, საკ. ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი პეგოვი, აკადემიკოსი ლისენკო, ემ. იაროსლავსკი, არმიის მე-2 რანგის კომისარი ზაპოროჟეცი, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტარასოვი და სხვები.

საბოლოო სიტყვაში ამხ. შჩერბაკოვმა, აღნიშნა რა წლევანდელი გაზაფხულის თავისებურებანი, რომელნიც მოითხოვენ უფრო დაძაბულ მუშაობას საგაზაფხულო თესვის პერიოდში, მოსკოვის ორგანიზაციას მოუწოდა პარტიისა და მთავრობის მიერ დასმულ ამოცანათა ბოლშევიკურად შესრულებისაკენ.

— მთელს ჩვენს მუშაობაში მაგალითი უნდა ავიღოთ ჩვენი გმირული წითელი არმიისაგან, რომელმაც განსაკუთრებით ძნელ პირობებში გვიჩვენა, თუ რისი უნარი შესწევთ საბჭოთა ადამიანებს, რისი უნარი შესწევთ ბოლშევიკებს!

ამხ. შჩერბაკოვის საბოლოო სიტყვებს დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

აქტივმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

(საკდესი).

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება

ლენინგრადი, 14 აპრილი (საკდესი). გუშინ ურიცკის სასახლეში შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება, დაესწრო 1.700 კაცი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგთა შესახებ მოხსენება გააკეთა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტსა და საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ა. ჟდანოვმა**, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ამხ. ჟდანოვს მკაფიო შინაარსიანი მოხსენება არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით ბოლშევიკების პარტიისა და მისი გენიალური ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად, გმირი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პატივსაცემად, რომლებმაც უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს.

ამხ. ჟდანოვმა აქტივს გადასცა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსი, დაწვრილებით შეჩერდა იმაზე, თუ რა ამოცანები აკისრიათ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკის ცვლილებათა შესახები დადგენილების რეალიზაციის საქმეში. ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ყველა ორატორი მხურვალედ იწონებდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი გადიდებისაკენ, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია რომლითაც მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

ბერლინი, 15 აპრილი (საკდესი), გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ცნობას: „სამხრეთ ნორვეგიაში 14 აპრილს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა ჯარის ახალი ნაწილების მოსვლისა და მასალების მიღების მეოხებით. ამ რაიონში ზღვაზე არ ყოფილა მტრის რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც ყურადღების ღირსი იყოს. ნარვიკში დღეს მშვიდობიანად ჩაიარა. ინგლისის დიდმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა მოახდინეს ნავსადგურის შესასვლელის ბლოკადა. ბერგენში ინგლისის ორმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა გერმანიის საჰაერო გემს და ჩასძირა იგი. ამის შემდეგ გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა ორივე თვითმფრინავი ჩამოაგდეს. სტავანგერისა და ქრისტიანზანდის რაიონში დღეს მშვიდობიანად ჩაიარა. 13 აპრილს ინგლისის თვითმფრინავების უშედეგო თავდასხმის დროს გერმანიის „მესერშმიდტის“ ტიპის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ინგლისის „ვიკერს-ველინგტონის“ ტიპის 2 თვითმფრინავი. ოსლოს რაიონში გერმანიის ჯარმა დაიკავა ხენეფოსი. საერთოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ ოსლოს რაიონში ნორვეგიის მობილიზაციის ჩატარების ცდამ მარცხი განიცადა. გერმანელებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო მასალა, ხოლო თვითონ უმნიშვნელო ზარალი ნახეს. სკაგერაკში გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა მოსპეს მტრის კიდევ ორი წყალქვეშა ნავი. ამგვარად, იმ წყალქვეშა ნავების რიცხვი, რომლებიც გერმანიის საზღვაო და საჰაერო ძალებმა უკანასკნელ დღეებში ჩასძირეს, 7-მდე გადიდდა. გერმანელებმა ხელთ იგდეს ნორვეგიის ნაღმოსანი „ხვალი“. ეკიპაჟი შეცვლილია გერმანელებით. გერმანიის ავიაცია 14 აპრილს სადაზვერვო ფრენას ატარებდა ჩრდილოეთის ზღვაზე და ნორვეგიის მთელ სანაპიროზე“.

ლონდონი, 15 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გერმანიის ჯარი, რომელიც უშუალოდ ოსლოს მახლობლად მიიწევს, ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება. კერძოდ, ბრძოლა სწარმოებს ოსლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრედერიკსტადის რაიონში (ოსლო-ფიორდის შესასვლელთან). შვეციის პრესის გადმოცემით, გერმანელებმა დაიკავეს სარპსბორგი მდინარე გლომაზე ფრედერიკსტადის ჩრდილოეთით. ნორვეგიის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნორვეგიელები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ქალაქ ხალდენს, რომელიც შვეციის საზღვრის მახლობლად მდებარეობს. წინათ გაზეთი „დაგენს ნიჰეტერი“ იუწყებოდა, რომ ეს ქალაქი წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა გერმანიის რაზმს, რომელიც ას კაცზე ნაკლები იყო.

როგორც იუწყებიან, ოსლოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გერმანიის ჯარს იერიში მიაქვს ეიდსვოლდისა და კონგსვინგერის რაიონში, ამასთან ამზადებს ფართო შეტევას, რომლის მიზანია შესწყვიტოს სარკინიგზო კავშირი შვეციასთან.

ლონდონი, 15 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს ოფიციალურ ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის ავიაციამ გუშინ ახალი თავდასხმა მოახდინა ნორვეგიის აეროდრომზე სტავანგერში. რომელიც გერმანიის ჯარს უჭირავს. თავდასხმის შედეგად დაზიანდა აეროდრომზე მყოფი დიდძალი თვითმფრინავი. ინგლისის ავიაცია თავს დაესხა აგრეთვე ხაფ-ფიორდს, სადაც თავმოყრილია გერმანიის ბევრი ჰიდროთვითმფრინავი, რომლებსაც ტყვიამფრქვევები დაუშინეს. ინგლისის თვითმფრინავებმა ჩააჩუმეს გერმანიის სატყვიამფრქვევო ბუდეები, რომლებიც ხაფ-ფიორდში იყო დადგმული.

ლონდონი, 15 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ავტორიტეტული წრეები უარჰყოფენ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის მიერ გუშინ გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავმა შოტლანდიის კუნძულების ჩრდილოეთით ჩასძირა ინგლისის „გლაზგოს“ ტიპის კრეისერი.

ნიუ-იორკი, 15 აპრილი (საკდესი). როგორც ასოშიეიტიდ პრესის სააგენტო სტოკჰოლმიდან იუწყება, ნორვეგიის არმიის სარდლობის მიერ გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, ნორვეგიის ჯარმა ბრძოლის შემდეგ დასტოვა ქალაქი ხენეფოსი. გერმანიის ჯარმა დაიკავა ჰონსკბერგი, ლარვიკი და სიტისდალი. ტრონდილაგში ოსლოდან თვითმფრინავებით ჩაიყვანეს გერმანიის ჯარი.

სკაიერის ქედების რაიონში, კონგსვინგერის სამხრეთით, შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებს. გერმანიის ჯარმა გადალახა მდინარე ვორმა და დაიკავა ქალაქი ეიდსვოლი. ამ ჯარმა მიაღწია შვეციის საზღვარს და მოუხვია ჩრდილოეთით სტრემსტალისაკენ, სადაც დაიკავა ხალდენი და ფრედრიკსტადი.

ნორვეგიის ჯარის გადასვლა შვეციაში

ლონდონი, 15 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სტოკჰოლმში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის თანახმად, გუშინ დაახლოებით 3 ათასი ნორვეგიელი ჯარისკაცი გადავიდა შვეციის საზღვარზე კორნსიეს და ორიენგის რაიონში. ნორვეგიის ჯარი განიარაღებულია და ინტერნირებულია. ამას გარდა, შვეციაში აგრეთვე გადავიდა დიდძალი ნორვეგიელი სამოქალაქო მოსახლეობა.

ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები

სტალინირი

სტალინირი (საკ. [illegible]). 14 აპრილს სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი პოეტის ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლისთავის შესრულებისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა საკ. კ. პ. (ბ) სტალინირის ქალაქკომის მდივანმა ამხ. **დარსიევამ**. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი პოეტი **ხ. პლიევი**.

სიტყვით გამოვიდნენ მწერალი **ჩოჩიევი**, ოსური დრამის თეატრის მსახიობი **მაკაევი**, საქ. ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **კუდუხოვა** და სხვ.

საღამოს ესწრებოდნენ საკ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნები: **ვ. ცხოვრებაშვილი**, **სანაკოევი**, **კასაბიევი**, სტალინირის ქალაქკომის მდივანი **გასიევა** და სხვ.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

ფ. ინწკირველი

ქუთაისი

ქუთაისი, 14 აპრილი (საკ. კორესპ.). 14 აპრილს, საღამოს 8 საათზე კულტურის სახლში შესდგა რევოლუციის დიდი პოეტის ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო კრება.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ოვაციებით არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პოლიტბიურო ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები: **დიმიტროვი**, **ჩარკვიანი** და **ბაქრაძე**.

მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა დოც. **გ. ჯიბლაძემ**. სიტყვები წარმოსთქვეს პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ **ვ. ლალიაშვილმა**, პ. ბახტურიძემ, დოც. კ. მეძველიამ, შ. შენგელიამ და ვ. გუგუშვილმა. მოგონებებით ვ. მაიაკოვსკის ბავშვობისა და მოწაფეობის წლების შესახებ გამოვიდნენ დამსახურებული მასწავლებელი პლ. წულუკიძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ზარდალიშვილი.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

გ. ყურაშვილი.

გარდაიცვალა მწერალი პანტელეიმონ ჩხიკვაძე

15 აპრილს, დილის 6 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი ნიჭიერი ბელეტრისტი პანტელეიმონ მელიტონის-ძე ჩხიკვაძე.

იმავე დღეს საბჭოთა მწერლების კავშირში შესდგა პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა, რომელმაც გამოჰყო დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: შალვა დადიანი, დემნა შენგელაია, (თავმჯდომარე) ლეო ქიაჩელი, გიორგი ქუჩიშვილი, შალვა რადიანი, იაკინთე ლისაშვილი, შალვა აფხაიძე, სიმონ წვერავა (მდივანი) და კალე ბობოხიძე.

კომისიამ დაადგინა: დაკრძალვა მოხდეს 18 აპრილს დღის 1 საათზე ახალ სასაფლაოზე (ვაკეში) მწერალთა პანთეონში.

16 და 17 აპრილს, საღამოს 7 საათზე მწერლის ბინაზე (ჟორესის ქ. № 4) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

გამოსვენება მწერალთა სასახლიდან. 18 აპრილს, დღის 1 საათზე.

დაკრძალვის ხარჯები იკისრა საბჭოთა მწერლების ლიტერატურულმა ფონდმა.

მუშსოფლკორთა კაბინეტში



(ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17).

კედლის გაზეთების რედაქტორებისა, სარედაქციო კოლეგიების წევრებისა და მუშსოფლკორებისათვის „კომუნისტის“ რედაქციაში ყოველდღიურად ტარდება კონსულტაციები და საუბრები ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე.

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები და დაესწრონ საუბრებს ყოველდღე, დილის 11 საათიდან 5½ საათამდე და საღამოს 8 საათიდან ღამის 11 საათამდე.

O

16 აპრილს შესდგება ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

მორიგი მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ჩიო-ჩიო-სან“ (1 აბ. 12 წარმ.), რუსთაველის სახელობის— „ოტელო“, მარჯანიშვილის სახელობის — „გიორგი სააკაძე“, მუსკომედია — „უჩინმაჩინი“, მოზარდ მაყ. თეატრი—„კომბლე“ (1 აბ. 173 წარმ.).

კინოებში: რუსთაველის სახ. — „სტანიცა დალნაია“, ოქტომბერი — „სტანიცა დალნაია“, დამკვრელი — „მეზღვაურნი“, კომკავშირელი — „სამშობლო“ (რუსული ვარიანტი), სპარტაკი — „მეოთხე პერისკოპი“, ლუქსემბურგის სახ. — „წყნარი დონი“, კომინტერნი — „პეპო“, 26 კომ. სახ. — „უკანასკნელი ნავსადგური“ (ესკადრის დაღუპვა).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

შვილი ნინო, სიძე ერი, შვილიშვილი ჯემალ პაჭკორიები იუწყებიან
რაჟდენ ლუკას-ძე მჟავანაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში 18/IV გამოსვენება ნინოშვილის, 36.
6015

შვილი ივლიანე, რძლები ვარა, ნინიჩკა, ლიზიკო, შვილიშვილები ირაკლი, მარიკა, თამრიკო აბაშიძეები იუწყებიან
დარია გიორგის-ასულ აბაშიძის
გარდაცვალებას, დაკრძალვა ქ. ქუთაისში 18/IV.
6016

მეუღლე მარო ებრალიძე-მასხულიასი, შვილები მიშიკო, ნანული იუწყებიან
მიშა ვასილის-ძე მასხულიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17/IV 7 ს. პეროვსკაია 16, დაკრძალვა 18/IV 1 ს.
6017

აკაკი, საშა, გრიშა, ნადია, მიშა კამკამიძეები იუწყებიან
ნოე ალმასხანის-ძე ჟღენტის
გარდაცვალებას, დაკრძალვა 16/IV 5½ ს. ვაკის სასაფლაოზე.
6022

მე-18 სკოლის II 1-ლი კლასის მოწაფეები, მასწავლებელი და მშობლები იუწყებიან ამავე კლასის მოწაფის
დოდო ხუციშვილის
გარდაცვალებას.
6019

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები იუწყებიან ლექტორ იასონ ხუციშვილის შვილის,
დ ო დ ო ს
გარდაცვალებას.
6012

მეუღლე ეკატერინე ორჯონიკიძე — ცქიტიშვილისა, ბებია ელენტია ამაშუკელისა, ძმა პავლე ცქიტიშვილი ცოლშვილით იუწყებიან, რომ 18/IV ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ივანე სიმონის-ძე და შვილის
თამარ ცქიტიშვილების
პანაშვიდი.
6018

ქმარი კოსტა, შვილები ნინო, კაკო ქაფიანიძეები იუწყებიან
ერმონია თედორის-ასულ
ჩალაძე-ქაფიანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17/IV 7 ს. გამოსვენება 18/IV 5 ს. გეგმის, 36
6013

და ანეტა, დისწულები გოლენდუსა, ნათელა, ნინო, პელო, თამარ, მაქსიმე, კოლია, ბიჭიკო, ვანიჩკა იუწყებიან
ნოე ალმასხანის-ძე ჟღენტის
გარდაცვალებას. გამოსვენება 16/IV 5½ ს. ფალიაშვილის, 7.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება, რომ 15 აპრილს, დილის 6 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბელეტრისტი
პანტელეიმონ მელიტონის-ძე ჩხიკვაძე
სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება მწერლის ბინაზე (ჟორესის ქ. № 4) 16 და 17 აპრილს, საღ. 7 ს. გამოსვენება 18 აპრილს მწერალთა სასახლიდან დღის 1 საათზე. დაკრძალვა ახალ სასაფლაოზე (ვაკეში) მწერალთა პანთეონში.

მეუღლე ევგენია სერგოს-ასული ჩხიკვაძე მწუხარებით იუწყება
პანტელეიმონ ჩხიკვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/IV ვერის ახალ სასაფლაოზე (მწერალთა პანთეონში).

მერი და დათიკო ქვარიანები, ვანიჩკა გაბუნია და საშა მეჯავანაძე იუწყებიან
პანტელეიმონ ჩხიკვაძის
გარდაცვალებას.
6023

მექი და ანტონ ცოლით სარათი, შვილებით დოდოთი, ბესოთი, გივით კალანდარიშვილები იუწყებიან
ნოე ალმასხანის-ძე ჟღენტის
გარდაცვალებას.
6014

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები სა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების— 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 1497